13

№ 143
ივლისის 9, სამშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 143
ივლისის 9, სამშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივლისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს ექვს მანეთად. (6. მ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.
კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ქართველ ქალთა
ამხანაგობა
სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა. № 12

ვექილი
ა. მ. ახნაზაროვი
გადავიდა
ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.
ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე.
(10—1)

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
კ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
ვრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა.
(წ.)

მთავრობის განკარგულებანი

„კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი სავალდებულო დადგენილება ტფილისისათვის.

იარაღით ვაჭრობის შესახებ.

მუხლი 1-ლი. გუბერნატორის ნება-დაურთველად (წერილობით) არავის უფლება არა აქვს ივაჭროს თოფებითა, დამბაჩებითა, რევოლვერებით და ტყვია-წამლით.

მუხლი მე-2. ისინი, ვინც ამ იარაღითა და ტყვია-წამლით ივაჭრებენ, ვალდებულნი არიან იქონიონ დაწესებულ ფორმის განსაკუთრებული წიგნები, სადაც უნდა აღნიშნონ, რაც იარაღი და ტყვია-წამალი აქვთ, აღნიშნონ აგრეთვე როდის ვის რა მიჰყიდა, ხოლო ამ დადგენილების მე-3 მუხლში დასახელებულ იარაღის შესახებ უნდა აღნიშნონ აგრეთვე, რა მოწმობის ძალით გაჰყიდა იარაღი ან ტყვია-წამალი. წიგნები პირველ მოთხოვნილებისათანავე უნდა წარუდგინონ პოლიციას.

მუხლი მე-3. ეგრედ წოდებული „ნარეზნი“ თოფები და რევოლვერები და აგრეთვე იმათთვის საჭირო ტყვია-წამალი შეიძლება მიეყიდოს იმათ, ვინც გუბერნატორისაგან ნება-რთვას წარადგენენ, ამასთან იმდენი, რამდენიც ნება-რთვის მოწმობაშია აღნიშნული. ეს მოწმობები, როგორც გასამართლებელი საბუთები, ვაჭრებმა უნდა შეინახონ.

მუხლი მე-4. ეს სავალდებულო დადგენილება ხმალ-ხანჯლის ვაჭრობას არ შეეხება.

იარაღის ტარების შესახებ.

მუხლი მე-5. აღკრძალულია ქალაქში იარაღის ტარება: თოფისა, რევოლვერისა, დამბაჩისა, ხმლისა, ხანჯლისა, ფინურ დანისა, კასტეტისა, ბებუთისა და ისეთის ჯოხისა, რომელშიაც დანაა. პატივსადებ მიზეზისა გამო შეიძლება იარაღის ტარება, მაგრამ უეჭველად გუბერნატორისაგან წერილობითი ნებართვა უნდა იქმნას აღებული. შუამდგომლობა ამ ნებართვის შესახებ პოლიცმეისტრის საშუალებით წარედგინება ტფილისის გუბერნატორს. ეს მოწმობანი პირველ მოთხოვნილებისათანავე უნდა წარუდგინონ ხოლმე პოლიციას.

მუხლი მე-6. ამ წესებს არ ემორჩილებიან სამხედრო კაცნი და სამოქალაქო წოდების მოხელენი, რომელთაც იარაღის ტარების ნება აქვთ.

პასუხის მგებლობა ამ სავალდებულო დადგენილებათა შეუსრულებლობის გამო.

მუხლი მე-7. თუ ისინი, ვისაც ეს სავალდებულო დადგენილებანი შეეხება, დაარღვევენ წესებს, პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი იმ სასჯელთა მე-29, 117, და 118 მუხლების ძალით, რომელსაც მომრიგებელი მოსამართლე ადებს.

ვადა ამ დადგენილებათა ძალაში შესვლისა.

მუხლი მე-8. ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შევა 1902 წლის 10 აგვისტოდან.

ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი **სვეჩინი**.

ტფილისი

✦ ეპ. კირიონი გუშინ-წინ, 6 ივლისს, გაემართა კისლავოდსკს, საცა იმყოფება ამ ჟამად მიტროპოლიტი პეტერბურგისა და უწ. სინოდის თავმჯდომარე ანტონი,

✦ ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლებში რუსულის სწორის წერის შემოღების თაობაზედ, ბ-ნ ი. ს. გოგებაშვილისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი ბარათი: „გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არავითარი მოხსენება ქართლ-კახეთის სამოსწავლო საბჭოსათვის არ წარმიდგენია; ჩემი აზრი შესახებ პირდაპირის წერის უაღრესობისა გამოვსთქვი ორს რუსულს წიგნაკში: „Нормальное письмо“ и „Грузинскій и русскій алфавиты съ педагогической точки зрѣнія“. და თუ მართლა ხსენებულმა საბჭომ ნება დართო ქართულს სკოლებში რუსულის პირდაპირის წერის შემოღებისა, თანახმად ჩემის აზრისა, ეს აზრი უნდა შეეწყნარებინა ამ წიგნაკებში გამოთქმულის შეხედულობის მიხედვით და არა ჩემის არ არსებულის მოხსენებისა ძალით».

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის საამშენებლო განყოფილება ამ დღეებში შეუდგება დაბა სურამში მდინარე სურამულაზედ ხიდის გაკეთებას. ეს ხიდი დაჯდება 4,300 მ., რომელიც მიეცემა სურამს 1901—1903 წლის საერობო გარდასახადთა ფულიდგან.

✦ ჩვენ მივიღეთ გიორგი წერეთლის სურათი მოსე თოიძის მიერ დახატული და დაბეჭდილი ბ-ნ მესხიშვილის ლიტოგრაფიაში; სურათი სუფთად არის გამოცემული. ფასიც ხელმისაწდომია: ღირს 20 კაპ. და იჰყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

✦ ტფილისის ბეითალმა ტერ-სტეფანოვმა, წარუდგინა-რა ქალაქის გამგეობას ტფილისის საყასპოს მოქმედების ანგარიში წარსულის თვის განმავლობაში, ქალაქის თავის აღმასრულებელს სთხოვს წარუდგინოს ეს ანგარიში შინაგან საქმეთა მინისტრის უმთავრესს მმართველობას არა უგვიანეს 10 ამ თვისა. როგორც ამ ანგარიშიდამ სჩანს, ამ ერთს თვეს საყასპოში 4693 სული სხვილფეხი საქონელი დაკლულა; ხბო—392, გოჭი 20 და ცხვარი 21715 სული.

✦ შვიდ ივლისისთვის დანიშნული ქალაქის ხელოსანთა დეპუტატების კრება, რომელიც ამ დღეს არ შესდგა, დღეისათვის გადაიდო.

✦ კავკავის გზა უკვე გაკეთდა და ახლა სიარული დაუბრკოლებლივ სწარმოებს.

✦ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას, რომელსაც უარი მოუვიდა, პოლიტეხნიკუმის დაარსების ნებას ვერ მოგცემთო, განზრახვა აქვს ახლა უნივერსიტეტის დაარსების ნებართვა სთხოვოს უმაღლესს მთავრობას. საზოგადოდ უმაღლეს სასწავლებლისათვის ტფილისს და ზოგიერთს სხვა ქალაქს ამიერ-კავკასიაში, აგრეთვე საზოგადო დაწესებულებათა და კერძო კაცთ მცირე ფული არა აქვთ მოგროვილი. საჭიროა, რომ ამ ფულს სხვა დანიშნულება არა მიეცეს-რა, გარდა იმისა, რომ ისევ საერო განათლებას მოჰხმარდეს. ამიტომ უნდა ტფილისს ითხოვოს უნივერსიტეტის ან სხვა მაღალის სასწავლებლის დაარსების ნებართვა ჩვენს ქალაქში.

✦ წელსაც, როგორც შარშანა და შარშან-წინ იყო, ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან დაარსებული იქნება საკომერციო კურსები ოქტომბრიდგან. კურსებზედ სწავლა გასტანს ექვს თვეს. სწავლის ფასი 40 მან. დაწესებული.

✦ რადგანაც 17,600 მან., რომელიც ერობისაგან გადადებულია ტფილისის გუბერნიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების შესანახად, არ ასდის ხარჯს, სასულიერო წოდება თხოულობს, რომ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების შესანახად ყოველ წლივ ეძლეოდეს 26,000 მან.

✦ ამას წინად ტფილისის სახალხო სკოლების ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, სომეხ-გრიგორიანთა პირველ-დაწყებით სკოლებს ტფილისში შემწეობა აღმოუჩინოს. ქალაქის გამგეობისა და სასწავლებელთა გამგე კომისიის შეერთებულმა სხდომამ განიხილა ამ დღეებში ეს თხოვნა და გადასწყვიტა აღნიშნულ სკოლებს მიმდინარე წლისათვის 750 მ. დაუნიშნოს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქს დიდი ყურადღება მიუქცევია კავკასიაში სამრეწველო სკოლების დაარსებისათვის.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერი ლისოვსკი ორის თვით სამსახურს დაეთხოვა და ქუთაისიდან წავიდა. სათავად-აზნაურო სკოლაში ამას წინად მომხდარ ინციდენტის გამო, როგორც აქ ამბობენ, ლისოვსკის მხოლოდ შენიშვნა მოსვლია მთავრობისაგან („ცნ. ფ.“).

✦ კვირას, 7 ივლისს, ღამის 12 საათზედ, მამადავითის ქუჩაზედ ცეცხლი გაუჩნდა ზედგინიძის სახლსა და მთლად გადიწვა. ამბობენ, რომ ცეცხლი გაჩენილა ეზოში დაგროვებულ ბურბუშელისაგან. ბურბუშელა ყოფილა დაგროვილი იმიტომ, რომ ზედგინიძე სახლების შეკეთებაში იყო. სახლი დაგირავებული ყოფილა ბანკში 8,818 მან. 63 კაპ., ხოლო დაზღვეული ყოფილა რუსეთის დამზღვევ საზოგადოებაში 6,600 მანეთად.

✦ შვიდს ივლისს, მე-9 ნაწილში, ყარსის ოლქის მცხოვრებმა ნილო ატოს ძე პეტროსოვმა განაცხადა, რომ ახალციხის ჩასახვევში, რკინის გზის ახლო, ღამე დამეცა ორი უცნობი ვილაც და წამართვეს 20 მანეთიო; პოლიციამ ერთი მათგანი, არშაკა მიხ. აირუმოვი, უკვე შეიპყრო.

ჩვენებური ამბები

იალბუზის მთის ფერდობებზედ აღმოუჩენიათ მრავლად გოგირდის მადანი. ამ ჟამად გოგირდი უფრო დაღისტნის მადნებიდამ ამოდის, მაგრამ ეს გოგირდი არ ჰყოფნის კავკასიას და სიცილიიდან ეზიდებიან.

—

— სოხუმს ახლო გამართულ სამკურნალოს გამგედ დანიშნულ იქმნა მკურნალი ს. ემელიანოვი, კლინიკის ორდინატორად ნამყოფი. ავადმყოფს წამლობისა და შენახვის ხარჯად ახდევინებენ 40 მან. სამკურნალოში მოთავსდება 120 ავადმყოფი.

—

სურამი. 8 ივლისს აქ მოელოდნენ მკურნალთა კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს დაათვალიეროს სურამის მიდამოში სახელმწიფო მამულები მომავალ სულით ავადმყოფ კოლონიის გასაშენებლად. როგორც გავიგეთ, მთავრობას ამ საგნისათვის 600,000 მანეთი უკვე გადაუდვია შენობათა ასაგებად და პირველ ხანში მოსაწყობად. სურამის ბოქაულს უკვე მოჰსვლია ქალაქი სამკურნალო უწყების მმართველობისაგან. ეს მმართველობა სთხოვს ბოქაულს აღმოუჩინოს კომისიას ყოველგვარი დახმარება.

—

დ. ცაგერი (ლეჩხუმის მაზრა). უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო, ამბობს გონიერი ანდაზა და მართალიც არის, თორემ ცაგერი იმდენადვე ჰგავს დაბას, რამდენადაც ბაკო ბაგას. იმ პირობებს, რომლებიც საჭიროა, რომ დაბას დაბის სახელი ეწოდოს, იგი მოკლებულია. ვისაც ცაგერი ამ ათი-თხუთმეტი წლის წინად უნახავს, ის შეამჩნევს, რომ მას უფრო თუ დაუწევია, თორემ წინ ერ წასულა: რამოდენიმე სამიკიტნო, სადაც ოროველას ძახილი ხშირია, ერთი თუ ორი ჩითის დუქანი, იმოდენივე მეწაღე, ეს არის და ეს! უწინ კაცი თავს იმითი მაინც ინუგეშებდა, რომ მაისსა და ენკენისთვეში ბაზრობა ხდებოდა, სადაც ყველას შეეძლო თავის ნაქონები გამოეტანა, ორი გროში აეღო.

აქაურ „წინაკაცების“ წინმსვლელობა ჯერ კიდევ თოფ-ლეკურ-ხანჯალია და ოროველა-ღვინის გადაკვრა; იგინი ჯერ კიდევ გვაროვნობის თაყვანის-მცემელნი და სრულიად მაზედ დაყრდნობილნი არიან და ვერ რწმუნდებიან, რომ დღეს თუ ხვალ ოროველას ძახილში ხელიდგან გამოაცლიან მიწა-წყალს, ვერ მიმხვდარან კიდევ, რომ გონივრება და პატიოსანი შრომაა ყოველი ადამიანის ამმაღლებელ-განმანათლებელი და არა გვაროვნობის ბრმად თაყვანის-მცემლობა და მუდამ ჟამს ოროველას ძახილი. რას სჩადიან სხვები, ვისაც შედარებით, ცოტად თუ ბევრად, განათლების ფარგალში ფეხი შეუდგამს? ამათგან გაიგონებთ: „მე მარტოკა რა უნდა ვქნაო“, და დანარჩენებთან ერთად-კი ზეიმს ეწევიან. რა მამაცობასაც ღვინის ქაჩვაში იჩენენ, მისი მეათედი რომ საზოგადო საქმეში გამოიჩინონ, დაბეჩავებული ცაგერი გაცილებით წინ წავიდოდა.

ამას თუ დავძენთ აქაურს უგზოობას, მაშინ წარმოგვიდგება, თუ რა ყოფაშია ჩვენი დაბა ცაგერი. ონსა და ქუთაისს შუა მიმავალ გზატკეცილიდგან იყო შტო გამოყვანილი, რომელზედაც უბრალო ეტლები დაიარებოდნენ, მაგრამ ეხლა ალაგ-ალაგ ისე დამეწყრულა, რომ გზა სულაც არ აჩნევია, რის გამო ეტლს-კი არა, კარგს ბედაურებსაც გაუჭირდებათ სოფ. ორბელიდგან ცაგერამდის მისვლა.

დიდის ხნის ყაყანის შემდეგ აქ დაარსდა სამკითხველო და ესეც გარეშე პირების წყალობით. ცაგერლებო, ეცადეთ, ლაილაშელებმა არ გაგასწრონ წინ!

სოსიპატრე მთა-შველი.

—

სოფ. ხარაგოული (შორაპნის მაზრა). 17 ივნისს მღვდ. რომანოზ დეკანოსიძეს ღამით თავს დაესხნენ ავაზაკები. როგორც თვითონ მღვდელი ამბობს, ავაზაკებს ფანჯარა ჩამოუხსნიათ, გადასულან ოთახში და გაუტეხიათ შკაფი, რომლიდგან წაუღიათ მხოლოდ ერთი ბროლის ფარანი და ოთახების კლიტეები. სხვა ნივთებისთვის ავაზაკთ ხელი არ უხლიათ. ადმინისტრაციის მიერ მკაცრი ზომებია მიღებული მათ მოსაძებნად და შესაპყრობად. წელს ჩვენ მოგვივიდა ნებართვა ხარაგოულის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებისა მელქო კიკნაძის სახელობაზედ. წევრთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 50-ს აღემატება. 3 ივლისს კრება მოხდა და 4 ივლისიდგან სამკითხველო უკვე დაარსებულად ითვლება.

აქეთკენ გაზაფხული კარგი იყო და ზაფხულიც გვარიანია. ვენახები, წარსულ წელთან შედარებით, ნაკლებია. სიმინდებს ჯერ-ჯერობით არა უჭირს-რა.

ანი.

—

სოფ. თარგამელი (სენაკის მაზრა). ჩვენს პატარა სოფელ თარგამელში სულ 60 კომლი მცხოვრებია. აქვთ ერთი საჯვარე ეკკლესია, სადაც არის მათი სასაფლაო. ეს სასაფლაო ადგილი ძლიერ პატარა იყო, სამარის გაჭრის დროს მკვდართა ნაშთი ზევით ამოდიდა ხოლმე. საზოგადოებამ მოინდომა ახალი სასაფლაო ადგილი ეშოვნა,

თხოვნა მიართვეს ყოვლად-სამღვდელო გრიგოლს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ყოფილს, და თავისი გაჭირვება მოახსენეს. ყოვლად-სამღვდელო გრიგოლმა ეს საქმე მიანდო კომისიას, რომელსაც უნდა გაესინჯა ადგილი და, სადაც აჯობებდა, იქ ამოერჩია სასაფლაო მიწა. კომისია შესდგა ოთხის კაცისაგან. ამ კომისიამ ადგილობრივ აიარა ჩვენი სოფელი და მოხერხებული კარგი ადგილი დანიშნა სასაფლაოდ, სადაც დასო ჯვარი, თანაც დაგვავალა, შემოგვეკავებინა მესერით. ჩვენც ადგილი შემოვმესრეთ, შიგ პატარა სახლი ჩავდგით და ველოდებოდით—აჰა, სადაა, გვიკურთხებენო.

ამ მოლოდინში რომ ვიყავით, ბლაღოჩინს გიორგი ბერიძეს ჩამოართვეს ჩვენი სოფელი და სხვა ბლაღოჩინს მ. კოდრატე ჩაჩიბაიას ჩაბარეს. ამ ჩაჩიბაიამ-კი სულ სხვა-ნაირად დაატრიალა საქმე: არ უგდო ყური არც მღვდელ-მთავრის, არც კომისიის განკარგულებას, არც ის დანიშნული ადგილი მოიწონა. აქ მკვდრების ადგილი-კი არ არის, არამედ ცოცხლებისთვის არის კარგი წალკოტიო! და მისის რჩევით, ამ ჩვენს მთავრობის მიერ დანიშნულ სასაფლაო ადგილზე, ასახლდა აზნაური ფაღავა. ხოლო სასაფლაოდ მ. ბლაღოჩინმა თავის ნებით და არა ჩვენის თანხმობით ისეთი ადგილი ამოირჩია და აკურთხა, სადაც მკვდრის დამარხვა უხერხულად მიაჩნია ყველას.

მთავრობასთან თხოვნა, კომისიის მოყვანა, ადგილის შოვნა, შემომესრვა და სახლის გაკეთება და ყველა ამის ხარჯები ტყუილ-უბრალოდ და ფუჭად წავიდა, არც ამ ხარჯებს გვიბრუნებს ვინმე და არც სასაფლაო გვაქვს და იძულებულნი ვართ, ისევ ძველსა და ვიწრო სასაფლაოზე ვმარხოთ ჩვენი დახოცილები.

მგზავრი.

ქუთაისი. წიგნების გამომცემელ ამხ. საქმეები. 29 ივნისს დავით ბაქრაძის თავმჯდომარეობით შესდგა „წიგ. გამომცემელ ქუთ. ამხ.“ კრება, რომელსაც 60 კაცი დაესწრო. კრებას მოხსენდა ორი წლის—1900 და 1901 წ.წ. ანგარიში, რომლების გამო ლაპარაკმა მთელი 5 საათი გასტანა. კრებას დაესწრნენ უმეტესად ახლად შეძენილი წევრები; ძველები, ეტყობათ, დღლილან საქველმოქმედო მოღვაწეობით და განზე გამდგარან.

როგორც წინა წერილში ვთქვით, „ამხ.“ დღემდე საკუთარი ბინა, წიგნების საწყობი ალაგი არ ჰქონია და მისი ქონების აქეთ-იქით ტარებაში მას წიგნები და ქაღალდები დაჰბნევია. კრებამ ამ დახლართულ საკითხის გამორკვევის შემდეგ გადასწყვიტა გარდახდეს ძველ გამგეობას ამხანაგობის დანაკლისი ქონების ღირებულობა, ე. ი. დაკარგულ წიგნების ფასი. ამ გვარათ ძველი გამგეობა მოვალედ გახდა „ამხანაგობისა“.

ლაპარაკი გამოიწვია იმ საკითხმაც, თუ რამდენად აღწევს მიზანს „ამხ.“, რა გვარ წიგნებსა ჰბეჭდავს და რა ფასში. მღ. ს. ჰელიძემ სთქვა, რომ ამხანაგობა დღემდე მიზანს ვერ აღწევდაო, რადგან ხალხისათვის სასარგებლო და ხელმისაწდომ წიგნებს ვერ სცემდაო; ამხანაგობას ზღაპრებისა და უმნიშვნელო ლექსების მეტი არა გამოუცია-რაო; მეო, სთქვა მოსაყვედურე ანაფორიანმა წევრმა, ხალხში ვტრიალებ, ვიცი მისი გონებრივი, ზნეობრივი მოთხოვნილება და ვხედავ, რომ მისს მოთხოვნილებას დღევანდლამდე გამოცემული წიგნები ვერ აკმაყოფილებენ. მე მაქვს მთელი რიგი სია წიგნებისა, რომლებიც ზედ-გამოჭრილნი არიან ხალხისათვის, მაგრამ ვერავისათვის მიმიწოდებია ისინიო.

ამ ტემაზე მობაასე მღვდელს მოკლედ მოუჭრეს სიტყვა და უთხრეს, რომ „ამხ.“ სრულიადაც მიზნად არ დაუდვია ზღაპრებისა და ლექსების გამოცემა, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ზღაპარი დიდმნიშვნელოვანი იყვეს, მაგალ., დიდის სიამოვნებით გამოვცემდით, რომ შეგვეძლოს ათას ერთ ღამეს და სხ. მისთ. ზღაპრებს. სათქმელია ისიც, რომ ერთს ერთი წიგნი მიაჩნია სასარგებლოდ, მეორეს მეორე. რაც შეეხება სიას, ჩვენ ამ მხრივ დახმარებას ყველას ვთხოვდით და ვთხოვთ და თქვენც მათ შორის დიდათ დაგვავალებთ, თუ-კი რასმე ხეირიანს მოგვაწვდით. „ამხ.“ წიგნების სიძვირეზედაც ლაპარაკი მეტია, რადგან იმ ფასებში, რა ფასებიც ქართულ წიგნებს ადევს, რუსეთშიაც არ გამოდის წიგნებიო. თუმცა აქ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ ორატორებმა გადააჭარბეს, რადგან, როგორც ეტყობათ, ისინი უკანასკნელ წლების სახალხო ლიტერატურას არ იცნობენ. ამ სფერაში რუსების გამომცემლებმა ძალიანაც გააიაფეს გამოცემები და, რასაკვირველია, ამასაც თავისი მიზეზები აქვს. იქ მხოლოდ საინტელიგენტო, სამეცნიერო წიგნები მოიძვირებს, მაგრამ მაინც კიდევ საღდება, რადგან მოთხოვნილება დიდია. პოპოვის ქალი, „Знаніе“, „Трудъ“, „Книжное дѣло“ და მრავალი სხვა კერძო გამომცემლები ამ ლიტერატურისათვის ერთი ერთმანეთს ეჯიბრებიან გამოცემაში და შესამჩნევადაც მოითბეს ხელი, როგორც თითონ, ისე ავტორებსაც კარგად აჯილდოვებენ შრომისათვის.

ამ საკითხზე ბაასს, რომლის გამორკვევაც, რასაკვირველია, ერთსა და ორ კრებაზე ლაპარაკით შეუძლებელია, მოჰყვა შეკითხვა გამგეობისა: როგორ საღდება „ამხ.“ გამოცემები, რომელი მათგანი უფრო იყიდებაო. გამგეობას ამაზე ცნობები ანგარიშში ვერ მოეთავსებია; ამგვარ სტატისტიკას აგენტნი არ აწარმოებენო, განაცხადა მმართველმა-გველესიანმა და, მიუხედავად ჩვენის თხოვნისა, ისინი ასე გვიპასუხებენ: თქვენ რას დასდევთ, რა საქმე გაქვთ, რომელი წიგნი რამდენი გავყიდეთ, თქვენი ვალი ამდენი და ამდენი გვმართებს, ამდენს და ამდენს გიგზავნით და მეტი რაღა გინდათო. ეტყობათ ქართულ წიგნების გამყიდავ აგენტებს, „ამხ.“ ვალების გადახდისა არ იყოს, ამაშიაც ახირებული, ქართული ჩვეულება დასჩემებიათ! ეს ვერაფერი სახელია და რაც მალე გაანებებენ თავს, მით უმჯობესია. აბა რა უდგას წინ ამგვარ ცნობების მიწოდებას არა თუ „ამხ.“, რომლის ანგარიშებისათვის ისინი ძალიან საინტერესონი არიან, არამედ კერძო პირების შეკითხვაზედაც არ უნდა უარობდნენ ამგვარ შეკითხვის პასუხს. ამგვარი ცნობები, თუ სად რამდენი და რომელი წიგნი იყიდება, გაზეთის საშუალებითაც უნდა ქვეყნდებოდეს და რაღა თქმა უნდა, თვით ანგარიშებშიაც ყოველთვის საჭიროა მოთავსდეს.

შემდეგ ლაპარაკი ჩამოაგდეს (29 ივნისის კრებაზე) იმის შესახებ, თუ გამგეობამ, კრების დაუკითხავად რად ააშენა კიოსკიო და ისიც ასე ძვირად (კიოსკი დამჯდარა 800 მ.). ბ. კ. ლორთქიფანიძემ გარმარტა, რომ კიოსკის აშენება თვით კრებაზე იყო გადაწყვეტილი, ხოლო მისი სმეტა არ ყოფილა იქ დამტკიცებული და ეს შეუძლებელიც იყო, რადგან ამაზე რომ ლაპარაკი ყოფილიყო, ჩვენი ქველმოქმედების ამბავი რომ ვიცი, ერთს თუმანსაც არ გავიმეტებდით ამისთანა კარგი საქმისათვის, მით უფრო, რომ „ამხ.“ ფული არ ჰქონდა და ვალების აღებაში თუმცა მარჯვენი ვართ, მაგრამ არა ამისთანა საქმეებისათვისო. ამისთანა საქმეში გამგეობის შეზღუდვა საქმეს უფრო ავნებს და არა არგებსო. დღეს-კი იმის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ასეთი კოხტა და ლამაზი კიოსკი წამოგვიჭიმა ბულვარში და მით „ამხ.“ თავშესაფარი გაუჩინაო. მხოლოდ გამგეობისათვის სასაყვედურო ერთად-ერთი ეს მაქვსო: მე ვარ, თუ სხვა ჩვენს კრებებზედ, სულ იმას გვეძღურიან და გვისაყვედურებენ, გინდათ თუ არა, ქართულად ილაპარაკეთ, ქართულადაო და მას (გამგეობას)-კი კიოსკის კედლებზე ქართული ზედწარწერები დაჰვიწყებიაო. ეს სიტყვები ორატორს შეცდომათ ჩამოართვეს, რადგან კიოსკის კედლებზე, რუსულის გვერდით ქართული წარწერებიც არის. კიოსკის აშენებისთვის გამგეობას მადლობა გამოუცხადეს და ლაპარაკი წიგნებით ვაჭრობაზე ჩამოაგდეს.

აქ ზოგი წინააღმდეგი გახდა, რომ „ამხ.“ კიოსკში მხოლოდ მისი გამოცემები და ქართული წიგნები იყიდებოდესო, გამგეობის ანგარიშით-კი კიოსკში, გარდა ყოველგვარ ქართულ გამოცემებისა, უნდა იყიდებოდეს რუსული სახელმძღვანელოები, ადგილობრივი (ტფილისური) გაზეთები და საკანცელარიო ნივთები, რადგან ამგვარად ხალხს მოვიზიდავთ და, მაშასადამე, „ამხ.“ კასას შემოსავალი მოემატებაო. გამგეობის ამგვარ განზრახვას დასტური მისცა იქვე, ბულვარის ყურეში წიგნების და საკანცელარიო მაღაზიის პატრონმა ვასილ ბეჟანეიშვილმაც, რომლის ინტერესს სწორედ არ უნდა შეადგენდეს ასე მახლობლად ამ სფერაში მოქიშპის გაჩენა; კრებაც დაეთანხმა გამგეობის მოსაზრებას და სასაცილოც იქნებოდა მეტ შემოსავალზე უარი ეთქვა.

შემდეგი საკითხი იყო გამგეობის მოხსენება აწ განსვენებულ გიორგი წერეთელთან დადებულ პირობის შესახებ. გ. წერეთელიც, აკაკის და ტფილისელ ამხანაგობისა არ იყოს, ქუთათურ ამხანაგობას პირობით ჰყოლია ჩაჭერილი. ეს პირობა შეეხება მათის ნაწერების გამოცემის უფლებას, რომელიც „ამხ.“ მოუპოვებია. პირობაში დრო არ არის ნაჩვენები, თუ როდემდის აქვთ მათ უფლება გამოსცენ ყველა მისი ნაწერები. აგერ მერვე წელიწადია, როგორც ტფილისის, ისე ქუთათურ „ამხ.“ ამათ ნაწერების მხოლოდ ორ-ორი ტომი გამოუციათ და შემდგარან. პირველი თითონ და მეორის მემკვიდრენი თხოულობენ ზემო დასახელებულ „ამხ.“ ან გამოსცენ ამათი ნაწერები, ან დაუთმონ და, თითონ თუ არა, სხვას გამოაცემინონ. გვახსოვს განსვენებულმა გიორგიმ სიცოცხლეშივე მრავალჯერ სთხოვა „ქუთათურ ამხ“. თუ საშუალება არა აქვთ, დაარღვიონ მასთან შეკრული პირობა და მისცენ ავტორს უფლება სხვას გამოაცემინოს თვისი ნაწერები. მაგრამ მაშინდელი გამგეობა „ამხ.“ ყოველთვის უარს ეუბნებოდა. სამწუხაროდ, დღევანდელი გამგეობაც ამ აზრს იცავს და უნდა შეირჩინოს უფლება ამ ავტორის ნაწერების გამოცემისა, თუმცა სწორედ უმჯობესი იქნება მან ეს უფლება დაუთმოს მემკვიდრეებს, რომლებიც უფრო ადრე გამოსცემენ ყველა მისს ნაწერებს, ვინემ ჯერ წელ წამოუმაგრებელი „ქუთათური ამხანაგობა“. აბა რა ანგარიშია, ჩვენში ვინმემ ჩვენის ძველი მოღვაწეების ყველა ნაწერების დაბეჭდვა მოისურვოს და ამაზე უარი უთხრათ: ოდესმე ჩვენც გავმდიდრდებით და გამოვცემთო?! ამგვარი „запрещеніе“-ეს დადება ვისსამე გონებრივ ნაწარმოებზე არ არის შესაფერი, ტფილისურ-ქუთათურ ამხანაგობათათვის.

ბოლოს, ყოველგვარ ანგარიშების გაწმენდის შემდეგ, ჯერი ახალ გამგეობის ამორჩევაზე მიდგა და, რასაკვირველია, ძველ გამგეობის ხელმეორედ მადლიერნი გახდნენ და ისევ ისინი აირჩიეს; ძველები იყვნენ: მმართველი—გრ. გველესიანი, ხაზინადარი—თ. მთავრიშვილი, გამგე—დ. ავალიანი და მდივანი—დ. მდივანი, რომელსაც 1901 წ. მაისში თავი გაუნებებია ამ საქველმოქმედო სამსახურისათვის. ახლა-კი ერთი მდივნის (დავით მდივნის) ალაგას მეორე—სიმონ მდივანი (ოდესის უნივერსიტეტში ახლად კურს-დამთავრებული და იქვე დატოვებული ქიმიკოსი) აირჩიეს სეკრეტრად, ხოლო გამგეს—(ადმინისტრატორს დ. ავალიანს) მეორე გამგე—ბ. ვასილ თუმანიშვილი (ახალგაზდა ვექილი). სარედაქციო კომისიაშიაც ზოგიერთს გარდა ძველები დასტოვეს. ესენი არიან: ქ-ნი ეკატერინე ნიკოლაძე, რომელმაც მორიდებით სთქვა: „რადგან ასეთ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ამხანაგობის მოქმედება, ამისათვის აღარ შემიძლია დავრჩე ამ თანამდებობაზეო“, მაგრამ მოხუცმა კირილემ უცებ გადაარწმუნა თავმდაბალი მანდილოსანი შემდეგი სიტყვებით: სწორედ ახირებულობა და დესპოტობა იქნება, თუ ვისსამე ნამოქმედარზე სიტყვას აღარ გვათქმევინებენ იმის შიშით, რომ მომქმედი პირი გაიქცევიანო. ყოველ შემთხვევაში დღევანდელი კრიტიკის ქარ-ცეცხლი ისეთი ძლიერი არ ყოფილა, რომ მისთვის წყალი დაგვპირებოდეს და არავის არა აქვს უფლება ამისთვის მოქმედებას თავი დაანებოს, გაიქცესო. ქუთათურ მანდილოსნის ამ გვარ თავმდაბლობას კინაღამ ვაჟმაც ბანი მისცა და ამავე თანამდებობაზე უარს აცხადებდა ახალგაზდა ვექილი იასონ ბაქრაძეც. მაგრამ იმასაც მალე წაალებინეს სიტყვა უკან და ქ-ნ ე. ნიკოლაძესთან ერთად ამათ გვერდში ამოუყენეს ბ.ბ. თეოფილე ხუსკივაძე, სილოვან ხუნდაძე და სამსონ ყიფიანი. სარევიზიო კომისიაშიც ძველები დარჩნენ: ბ.ბ. კირილე ლორთქიფანიძე, ონისიმე სვანიძე და იაკობ ჩიმაკაძე.

მაშ ვუსურვებთ ამ ხელ-ახლა თავ მოყრილ მხნე ქართველთა ამხანაგობას საქმე ნაყოფიერად და გამჭრიახად წარემართოს...

ისო.

კავკასია

ბარის ოსეთი. თიბათვეში კარგი ამინდებით გაიარა. თავის დროზედ ჟუჟუნა წვიმა და წყნარი ამინდი არ მოგვკლებია. ყველა მხრიდგან მშვენიერი მოსავლის ხმები ისმის. უხვი მოსავლის მოლოდინით ყველა მაშვრალთ სახეზედ ღიმი მოსდით. თავის თიბვა დაიწყეს, ქერების მკას უკვე მორჩნენ. ზღვასავით მღელვარე პურებიც მალე გაიწრეს. იმედია წინა წლებში მოუსავლობით შეშინებულთ [illegible] უხვი მოსავალი თვალს და გულს გაუმღობს...

თიბათვეში წყალ-დიდობამ ბევრი ნავნები ქმნა და ბევრი ადამიანი მსხვერპლად შეიწირა: ალაგირის ხეობაში მდინარე არდონმა დაანგრია ოსეთის სამხედრო გზები. ესევე მდინარე გადავარდა კალაპოტიდგან, მოუდგა სოფ. არდონს, მრავალი სახლები დააქცია, ეზოს გალავნები, ბაღჩები წარიტაცა და სოფლის სასაფლაოს ცალი მხარე მოჰგლიჯა, მიცვალებულები დათხარა და დაიტაცა; ზოგი-კი მოასწრეს და წინათვე დათხარეს თავიანთი მიცვალებულები და სხვაგან გადაიტანეს. ამავე მდინარის ერთი ტოტი შევარდა არდონის ალექსანდრეს სამისიონერო სასულიერო სემინარიას; მრავალი მასალა, რომელიც ამ სემინარიის ახალ შენობისთვის იყო მომზადებული, სულ-ერთიანად წაიღო-წაასხდინა. კიდევ დიდ ნავნებს იზამდა გაგიჟებული არდონი, რომ კავკასის მაზრის უფროსი, რომელსაც დეპეშით აცნობეს, დროზედ არ მოეშველებინათ და ბუკსაზედ გამოწვეულ ახლომახლო სოფლების დახმარებით რამოდენიმე არ შეემაგრებინა აღელვებული არდონი. დარგკოხის სახელმწიფო ბორანის ერთ მხარეს გადაგლიჯა გაღობილი ქვა-ღორღის გალავანი მდინარე თერგმა; ამის გამო მთელი ორი კვირა ბორანზედ მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. აგერ დღესაც მრავალი ხალხი ებრძვის ამ ადგას თერგს და, თუმცა ბორანზედაც მიმოსვლა დაიწყეს სიფრთხილით, მაგრამ თერგი თავისას არ იშლის და ჰგლეჯავს არე-მარეს.

სანების და დარგკოხის ხეობაში მდინარე განალდონმა და ყობანდონმა და ქურთათის ხეობაში მდინარე ფიაგდონმა სულ გაათხრეს ამ ხეობების გზები და მცხოვრებნი ხეობებში დიდ გაჭირვებაში არიან.

თიბათვეშივე მოდიდებულმა წყლებმა იმსხვერპლეს სოფ. არდონში სამი კაცი, სანების ხეობაში ორი კაცი და დიგორის ხეობაში ერთი კაცი და ერთი დედაკაცი; ურმების ხარ-ცხენების დაღუპვა ხომ ბევრი მოხდა. აგრეთვე თიბათვის თერთმეტს შეიქნა მდინარე ფიაგდონის მსხვერპლი ნებითი-ქრისტიანის მღვდლის ნ. ბაკურაძის რვა წლის ქალი საბრალო ქსენია: თერთმეტს თიბათვეს ბაკურაძემ, მღვდლის ქვისლმა მღვდელმა ჯანუაშვილმა, რომელიც ქურთათის ხეობაში მღვდლობს, წაიყვანა სტუმრათ ზემოხსენებული ბაკურაძე მღვდლის ქალი. მღვდელს თავისი მეუღ-

ფელეტონი

ჩვენებური ებრაელობა *)

(შენიშვნები)

უკვე მოვიხსენიეთ, რომ ჩვენებურმა ებრაელობამ თავისი ნიჭი თორაში დამარხა. სწორედ ასე გახლავთ. თითქმის თითოეული თორა სკოლაც არის და ასეთს სკოლაში ახალგაზდობა სწავლობს. უმეტეს ნაწილად ხახამია ხოლმე მასწავლებლად, რომელსაც, დაბადების გარდა, სხვა არავითარიმე ცოდნა არა აქვს. კიდევ დიდი ღვთის წყალობა იქმნებოდა, რომ ხახამს დაბადება მაინც გონივრულად და გაგებულად შეთვისებული ჰქონოდა. მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ხახამი მოკლებულია ამ სიკეთესაც და ხშირად თითონაც არ ესმის, რასაც სხვას ასწავლის. რასაკვირველია, არა რაიმე პედაგოგიური და დიდაქტიური ცოდნა ხახამს არ მოეპოვება. საცოდავი ბავშვები მარტო თუთიყუშივით იმეორებენ, რასაც ხახამი ჩასძახის. თქვენის თვალით უნდა ჰნახოთ, როცა, ტანის რხევით და თავის ქნევით, საბრალო ებრაელი შეგირდი, აი თუნდ ცხინვალის თორაში, გაკვეთილს იმეორებს და მაშინ დარწმუნდებით, — თუ რა წვალებას და ტანჯვას წარმოადგენს თორაში სწავლა და გონების წრთვნა. ბავშვს ებრაული სიტყვები სრულებით არ ესმის და, თუმცა ოსტატი ქართულადაც უთარგმნის, მაინც ვერას ასმენს. ამის გამო ძნელად შეხვდებით თორაში განსწავლულ ებრაელს, რომ ებრაული იცოდეს, ებრაულად ლაპარაკობდეს. ასეთის განსწავლულის გონებრივი ბარგი და ბარხანა დაბადებიდგან ამოღებული ნაგლეჯი და ნაწყვეტია აბა რა უნდა მოეთხოვებოდეს ამ გვარად დამახინჯებულ ადამიანს!..

მაგრამ ხახამს და კერძოდ თორის ოსტატს საგნად ისა აქვს, რომ ახალგაზდობას ღრმად ჩაუნერგოს სარწმუნოება და უფრო ამ სარწმუნოების გარეგანი, ფორმალური წესი და რიგი. ჩვენი ებრაელობა ფარისეველთა მოძღვრებისაა. თქვენც მოგეხსენებათ, რომ ფარისეველი უფრო რჯულის გარეგნობას და ფორმას მისდევდა, ვიდრე სარწმუნოების აზრსა და შინაარსს. ქართული ებრაელობაც უფრო რელიგიურს რიტუალს და ფორმალიზმს სცემს თაყვანსა და თორასა და სკოლაშიაც უმთავრესი ყურადღება ამაზედა აქვს მიქცეული. რაბინი და ხახამი მკაცრად და ფხიზლად თვალყურს ადევნებს, რომ მცირეოდნადაც არ დაირღვეს და არ შეილახოს რჯულის ფორმა და ვაი იმას, ვინც ამ ფორმას გადავა და „მოსეს რჯულს“, ცოტადაც არის, დაარღვევს!.. დიაღ, ჩვენებური ებრაელი მთლად შებოჭილი და შეხუთულია რჯულის ფორმალიზმით და მისი ფიქრი და გრძნობა ამ ფორმალიზმს არა სცილდება. ასეთი მიმართულება სულსა და გონებას ადუნებს და აჩლუნგებს, ხოლო გულსა და გრძნობას აშრობს და ახმობს. ბუნებით ებრაელი სარწმუნოებრივი არსებაა, თუ ასე ითქმის. ხოლო უკიდურესმა რელიგიურმა ფორმალიზმმა ეს არსება გაათახსირა, თორისა და რაბინ-ხახამის სრულ მონად გადააქცია. ასეთმა მონობამ კიდევ განაცალკევა ქართული ებრაელობა და მოსწყვიტა ჩვენის ცხოვრების კულტურულ მსვლელობას და მოძრაობას. საქართველოს ჰქონია არა ერთი და ორი ბრწყინვალე დრო, როცა ერის განათლება მაღლა მდგარა და ამ განათლების სხივი მეზობლებსაც-კი მიჰფენიათ. მაგრამ ქართველი ებრაელი მაინც უმეცრების სიბნელეში დარჩენილა და ჩვენის განათლების შუქი ოდნავაც არ მისდგომია.

ევროპაში არც ერთი პროგრესიული ხანა არა ყოფილა, რომ ებრაელობას თავისი წვლილი არ შეეტანა საზოგადო სალაროში. როცა არაბთა ბატონობა გამეფდა ისპანიაში და მათი განათლება მოეფინა მთელს არე-მარეს, ებრაელობამ საოცარის მხნეობითა და მეცადინეობით მიჰყო ხელი იმათ განათლების შეთვისებას და მოკლე დროს დიდად თავი ისახელა ამ საქებარს საქმეში. ებრაელ მეცნიერთა და ფილოსოფოსთა გენიოსობა და მოღვაწეობა აკვირვებდა მთელს განათლებულ კაცობრიობას. თვით არაბნიც-კი განცვიფრებაში მოდიოდნენ ებრაელთა ნიჭისა და გონებისაგან, მათის კულტურულ მისწრაფებისა და პროგრესიულ მსვლელობისაგან. ასე გასინჯეთ, ებრაული ღვთისმეტყველებაც იმ დროს აყვავდა და უმაღლეს წერტილამდე ავიდა. საქართველოსაც მოეფინა არაბულ განათლების სხივი, ჩვენს სამშობლოსაც დაჰკრა იმ დროინდელ კულტურის ტალღებმა. ქართველი ერი გონებრივ და ზნეობრივ გამოფხიზლდა და აღმაღლდა. სწორედ ამ დროს ჩაიდვა დვრიტა ეგრედ წოდებულ ოქროს საუკუნოისა. მაგრამ ებრაელობას მაინც ვერა ეშველა-რა და ჩვენს მატიანეში, მთელ საუკუნოების მანძილზედ, ერთის სიტყვითაც არ არის მოხსენებული, რომ რომელსამე ჩვენებურს ებრაელს თავი რითმე ეჩინოს, საზოგადო ასპარეზზედ რაიმე ღვაწლი გაეწიოს. მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეს ჩვენი ეროვნული პროგრესი უაღრეარისხამდე მივიდა. ამ დროს მთელ ერის გონება და აზრი ვარჯიშობდა, მოქმედებდა. მაგრამ მატიანე მხოლოდ ებრაელობის შესახებ სდუმს და, ცხადია, ეს იმიტომ, რომ იგი ებრაელობა მაშინაც ჩვეულებრივს თვლემასა და ძილში ყოფილა...

როცა ევროპას საშუალო საუკუნეთა უმეცრებისა და ბარბაროსობის წყვდიადი განშორდა და განათლების ცისკარი ამოუვიდა, ებრაელობა ხელმეორედ შევა პროგრესის უღელში და, ჩვეულებრივ, საოცარი ნიჭი და მხნეობა გამოიჩინა. თითქმის არ არის არც ერთი დარგი მეცნიერებისა, რომელშიაც ებრაელს თავი არ ესახელოს. ახალ დროს ხომ ბურთი და მოედანი თითქმის ებრაელებს დარჩათ. ჟურნალ-გაზეთობის უმრავლესობა, ევროპიული ყოველდღიური პრესსა თითქმის იმათ ხელშია და ამ პრესსის მეოხებით ცხოვრების ჩარხს იგინი ატრიალებენ, ცხოვრების კამათლებს თავისს ნებაზედ იგინი ათამაშებენ. ევროპის საუკეთესო პუბლიცისტნი ებრაელის ჩამომავლობისანი არიან. დიდი ოხვრა და ვაება გაისმის ანტისემიტთა ბანაკში, დიდი შიში და ელდა ტრიალებს ანტისემიტთა შორის. ყველა ჰხედავს და გრძნობს, რომ ისრაილი გაბატონდა არა თუ მარტო ეკონომიურს სფერაში და ბირჟაზედ, არამედ სტამბაში და ტრიბუნაზედაც. სახელმწიფოთა მმართველნი ყოველგვარ ღონისძიებას ჰხმარობენ, როგორმე ხელი შეუშალონ ებრაელთა გაბატონებას, ფრთები შეაკვეცონ იმათ გონებრივს აღმაფრენას, მისწრაფებას. ასე გასინჯეთ, ზოგან კანონად დასდეს, ყველა ებრაელს უფლება არა აქვს უმაღლესი განათლება მიიღოსო და მხოლოდ ამოდენ და ამოდენ ებრაელს შეუძლიან უნივერსიტეტსა და სხვა მაღალ სასწავლებელში ისწავლოსო.

მაგრამ, რა გამოვიდა? ებრაელი თავისას არ იშლის და, რაკი ერთხელ განათლების გემოს იღებს, საოცარის თავგანწირვით სწავლისკენ მიისწრაფვის. აღწევს კიდეც თავისს მიზანს. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ჩვენებური ებრაელობა.

წარსულ საუკუნის სამოც წლებში საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ჩვენშიაც ფეხი აიდგა და წარმატების გზას დაადგა. მალე ლიტერატურაც აღორძინდა და მისი სამფლობელო თანდათან გაფართოვდა. ლიტერატურის თითქმის თითოეულმა დარგმა თავი იჩინა. აღჩნდნენ პოეტნი, პუბლიცისტნი, წარსულის მკვლევარნი, აწმყოს მაძიებელნი, მეცნიერნიც-კი. მთელი ქართველი ერი გამოფხიზლდა და ლიტერატურულ მოძრაობას ყურადღება მიაპყრო. ასე გასინჯეთ, ქართულ პოეზიის ძალა და დიდება საზღვარ-გარედაც გაისმა და ჩვენთა პიიტიკოსთა ქნარი ზოგიერთ ევროპიულ ენაზედაც გადაითარგმნა. ამ ბოლოს დროს არა თუ მეზობელნი, არამედ შორეულნი ევროპიელნიც ყურადღებით ექცევიან ჩვენის ლიტერატურის ბედსა, მის მსვლელობას და,—კვეხნა აბა რა საჭიროა,—დიდს ღირსებას და ხანდახან ობოლ მარგალიტსაც პოულობენ ამ ლიტერატურაში!..

ჩვენებური ებრაელობა-კი გონებრივს თვლემას და ძილს მისცემია, თვალს არ ახელს და ყურს არ იბერტყს, რომ იხილოს და ისმინოს—რა ჰხდება და კეთდება იმის გარშემო. არა რაიმე ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზრი ებრაელობას არ იზიდავს, არავითარიმე გონებრივი ინტერესი იმისთვის არ სუფევს. ჩვენი ლიტერატურა თითქო არც-კი ეპრიანება ისრაილს. თვალის დევნებას და და თანაგრძნობას ვინ-ღა სჩივის: ასე გასინ-

---

*) იხ. „ივერია“ № 141.

დეც თანა ჰყვანდა. მდინარე ფიაგდონში გასვლის დროს გადაუბრუნდათ ურემი; ყველამ თავს უშველა, ხოლო საბრალო ბაგურაძის ქალი ქსენია, როგორც უძლური არსება, იმსხვერპლა შეუბრალებელმა მდინარემ და დაახრჩო. ეს ამბავი სოფელთან ახლო მოხდა; მთელი სოფელი თავს დაედო. ბავშვის გვამი მალე იპოვნეს და გამოიტანეს.

ხილის მოსავალი აქეთ შარშანდელზე ნაკლებია. წარსულ თვეში რამდენიმე კაცის კვლა მოხდა აქეთ: სოფ. ნებითი-ქრისტიანში მცხოვრები კოდოევი მოკლეს სოფ. არდონის მინდორში. მკვლელი დღესაც ვერ აღმოუჩენიათ.

დიგორის ხეობაში ფაცნალის სამადნოზედ მომუშავე ოსი ალექსი მამიევი გადავარდა კლდეზედ და მოკვდა.

სოფ. ნუზალელი ოსი მოზდოკისკენ იყო ცხვრების სასყიდლად; როცა უკან დაბრუნდა, ღამე მინდორში დაეცნენ ავაზაკები და მოკლეს.

ს. ყაღგარონში და ხუმელაგში—აგერ ეს რამდენიმე თვეა, რაც მძვინვარებს ყელ-ჭირვება და ძრიელად აზარალებს ბავშვობას.

ნებითი-ქრისტიანის ინტელიგენციამ განიზრახა, იშუამავლოს, სადაც ჯერ არს, რომ ამ სოფელში ფოსტის განყოფილება გახსნან. ინტელიგენცია თავათ კისრულობს ყოველსავე ხარჯს სამის წლის განმავლობაში. ამის შესახებ სია შეადგინეს და ჯერ-ჯერობით თხუთმეტმა კაცმა განაცხადა სურვილი ამ კეთილ საქმეში მონაწილეობის მიღებისა და ყოველ წელს თითო თუმნის გადახდა იკისრეს.

პირველს ამ თვეს გაიხსნა ამ სოფელში მაგარი სასმლის სახელმწიფო დუქანი. ამ სოფელში მცხოვრებნი ვერაფერი სიამით მიეგებნენ ამ სასმლის დუქნის გახსნას. მოხუცნი ამბობენ: „ჩვენ სასმლის დუქნებს ჩვეულნი არა ვართ და ვშიშობთ, ვაი თუ ჩვენი მომავალი თაობა შეეჩვიოს ღოთობასა და ქეიფს და ხასიათიც გაიფუჭონო.

ქართველი ოსებში

უცხოეთი

ინგლისი. დიდის ზარითა და ზეიმით მიეგებნენ ლორდ კიტჩენერს ლონდონში. შეგებება უნდა მომხდარიყო გემ „Orotava“-ზედ, რომლითაც მობრძანდა მთავარ-სარდალი სამხრეთ აფრიკიდგან, მაგრამ ერთი აფიცერთაგანი, მაიორი გორდონი, გზაში ყვავილით გახდომოდათ ავად და ამისათვის გემი კარანტინში გააჩერეს. მხოლოდ კიტჩენერს და მის შტაბს მისცეს სოუტგამპტონში გადმოხტომის ნება. მთელი მიდამო ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ ნემსიც არსად ჩავარდებოდა; სახეზედ ყველას აღტაცება და კმაყოფილება ეწერა. საოცარი ყიჟინა და ვაშას ძახილი ასტყდა მთავარ-სარდლის დანახვაზედ. ქალაქის მერმა სოუტგამპტონის საპატიო მოქალაქის დიპლომი მიართვა. $10^{3}/_{4}$ საათ. ლორდი ლონდონს გაემგზავრა; საუცხოვოდ იყო მორთული პადდინგტონის სადგური, სადაც კიტჩენერი უნდა ჩამომხდარიყო; პროვინციიდგან იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ ტევა აღარსად იყო. ქუჩები ხომ თავთავ დასხმულ ყანასავით ღელავდა; გვირგვინის კურთხევისათვის დამზადებული ტრიბუნები და სახლის ბანები ცნობის მოყვარეთ ძლივს იტევდა. სადგურზედ თავი მოეყარათ უელსის პრინცის მეთაურობით მაღალ წოდების პირთა. ლორდი კიტჩენერი $12^{3}/_{4}$ საათზედ მობრძანდა და გრძნობიერის მისალმების შემდეგ ყველანი ერთად სენ-ჯემის სასახლისაკენ გაემართნენ, სადაც კიტჩენერის პატივ-საცემლად საუზმე იყო გამზადებული. წინა ეტლში უელსის პრინცი და კონნაუტის ჰერცოგი ისხდნენ, მათ მისდევდა კიტჩენერისა და გენერალ ფრენჩის ეტლი და ბოლოს ცხენ-და-ცხენ ლორდი რობერტსი ბრწყინვალე ამალით. გზაზედ გამწკრივებულიყო ინდოეთისა და ახალშენების ჯარი; მათ შორის 150 იაპონელი ზღვაოსანიც, რაიცა ინგლის-იაპონიის კავშირს მოასწავებდა. გამუდმებულ ვაშასა და ბარაქალას ძახილს საზღვარი არა ჰქონია. დიდის თანაგრძნობით ეგებებოდნენ გენერალ ფრენჩსაც. როდესაც კორტეჟი მიუახლოვდა ბუკინგამის სასახლეს, ხალხის ყვირილსა და მუსიკის ხმაზედ აივანზედ გამობრძანდნენ დედოფალი და პრინცესსები. ხმაურობამ ერთიორად იმატა. სენ-ჯემის სასახლეში საუზმეს, მოსულთა გარდა, დაესწრნენ სამინისტროს წევრნიც სალისბერის მეთაურობით. ნასაუზმევს კიტჩენერი ბუკინგამის სასახლეში მივიდა და მეფე-დედოფალი ინახულა. საღამოს მის პატივსაცემლად ქალაქი დიდებულად გააჩირაღდნეს.

საფრანგეთი, 12 მკათათვეს (ახ. სტ.). დიდი აურზაური ასტყდა პალატში. ნაციონალისტებმა და მელინისტებმა ნამდვილი იერიში მიიტანეს კომბის სამინისტროზედ; მიზეზი ასეთის გაანჩხლებისა ის გახლდათ, რომ კომბის ცირკულიარით 2,500-მდე საკონგრეგაციო სკოლა უნდა დაიხუროს; გარდა ამისა, სამინისტრომ ზოგიერთი არჩევნები არ დაამტკიცა, რადგან ამომრჩეველთ სიყალბე ჩაედინათ.

მელინისტმა ეინარმა (ლიონელი ბანკირია დ̃ პარლამენტის ერთი საუკეთესო ორატორთაგანი) განაცხადა, მთავრობას სკოლების დახურვის შესახებ უნდა შევეკითხოო. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა, ჯერ სხვა საკითხები უნდა ჩამოვათაოთ და შემდეგ მაგაზედ გვექნება კამათიო. მიუხედავად ამისა, ეინარმა მაინც ტრიბუნას მიჰმართა და დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ მემარცხენენი ახმაურდნენ: „წესს ნუ არღვევთო“. ორატორმა მაინც განაგრძო; ასტყდა ერთი ალიაქოთი: ეინარი იძულებული შეიქმნა ტრიბუნიდგან ჩამოსულიყო. მისი ადგილი მინისტრ-პრეზიდენტმა დაიკავა, მაგრამ სიტყვის დაწყებაც-კი არ აცალეს, მემარჯვენეთ საშინელი ყვირილი ასტეხეს; ნაციონალისტმა ოფფრემ წამოიძახა: „ძირს, პროსკრიპციის*) სამინისტრო“. მემარცხენენი ჰყვიროდნენ: „წესს ნუ არღვევთო“. პრეზიდენტის ადგილი ვიცე-პრეზიდენტ გილიენს ეჭირა, მაგრამ ვერა გააწყო-რა. კომბმა კიდევ დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ისევ მალე შეაჩერეს და ტრიბუნიდგან ჩამოვიდა. სოციალისტები და რადიკალები მიუბრუნდნენ გილიენს: „დასტოვეთ პრეზიდენტის აეგილი, დახურეთ სხდომაო!“ სოციალისტი კიდენა სწვდა ზარს და დაუწყო წკარუნი. გილიენმა შესწყვიტა კრება, მაგრამ ვერც ამან დაამშვიდა გააფთრებული საზოგადოება; ისე გამწვავდა კამათი, რომ კინაღამ საკინძში სწვდნენ ერთმანერთს მემარცხენენი და მემარჯვენენი. ერთი საათის შემდეგ ხელახლად დაიწყო კრება. გილიენმა განაცხადა, დეპუტატი ოფფრე უეჭველად დაიტუქსოს მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებისათვისო. ოფფრემ უპასუხა, ჩემი სიტყვები უკანვე მიმაქვს, მაგრამ კომბის ცირკულიარი მაინც მეტად სამარცხვინოდ და სათაკილოდ მიმაჩნიაო. შემდეგ ამისა პალატამ მრავალის ხმის უმეტესობით ოფფრეს საყვედური გამოუცხადა. კომბი ავიდა ტრიბუნაზედ დ̃ საზოგადოებას მიჰმართა, კამათი ეინარის შეკითხვაზედ მერმისისათვის გადავსდვათო. მემარჯვენენი დიდს წინააღმდეგობას აცხადებდნენ, მაგრამ როგორც იყო, დაწყნარდნენ. მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, ზომები კონგრეგაციათა წინააღმდეგ კანონიერ საფუძველზედაა დამყარებულიო; ეხლა ეს კანონი პრაქტიკულად უნდა გამოვიყენოთ და ვინც რა უნდა სთქვას, მთავრობა მაინც თავისას გაიტანს, არავის ბაქი-ბუქსა და წყრომას არ შეუშინდებაო. პალატამ მიიღო კომბის წინადადება 328 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 218-ს. მემარცხენენი ტაშის ცემით მიეგებნენ ამ გადაწყვეტილებას.

შემდეგ წამოყენებულ იქმნა საკითხი დამატებით კრედიტების შესახებ. ლუმბარმა მოაგონა კრებას, ზოგი მათგანი სენატმა არ შეიწყნარაო. ფინანსთა მინისტრი რუვიე დაჟინებით თხოულობს, კრედიტები სენატის სურვილისამებრ უნდა გადასწყდესო. პალატამ მიიღო რუვიეს წინადადება 425 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 21-სა. პალატა დათხოვნილ იქმნა შუა ოქტომბრამდე.

გერმანია. ამას წინად გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მე-II-რე და საფრანგეთის ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი ერთად შეიყარნენ ოდდეში. გაზ. „Berl. Loc. Anz.“-ის სიტყვით, იმპერატორი გადაჭარბებულის თავაზით მიჰგებებია ვალდეკ-რუსსოს; მათ თურმე დიდხანს ისაუბრეს და ბევრ საყურადღებო საგანსაც შეეხნენ, მაგრამ ყოველივე საიდუმლოდ დარჩაო.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო ხასიათისა იყო მათი საუბარი, პარიჟში მაინც დიდ-მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ვალდეკ-რუსსოს საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის სრულებით განკერძოებული ალაგი ეჭირა. მინისტრ-პრეზიდენტი ოდდედგან ქრისტეანიას მივიდა. ჰგონებენ, რომ იქიდგან კერძო მოხსენებას გამოუგზავნის ლუბეს და და აცნობებს, რაზედაც ჰქონდათ მასა და იმპერატორს ლაპარაკიო.

ავსტრია-უნგრეთი. ბუდაპეშტის გაზეთები იუწყებიან, რომ სრულიად იმპერიის ფინანსთა მინისტრი—კალლაი შემოდგომაზე სამსახურს თავს ანებებსო, რადგან იმპერატორმა არ შეისმინა მისი რჩევა და ბოსნიის დეპუტაცია მიიღო, რომელმაც პროვინციის საქმეები განასაჩივრა. კალლაის ადგილზე გრაფ კუენ-გედერვარის ასახელებენ.

სამხრეთ-აფრიკა. დიდს საგონებელში ჩააგდო ინგლისელები ბაზუტოსთა ბელადმა იოილმა. ამ შეუპოვარს სარდალს 10,000-მდე საუცხოვოდ შეიარაღებული რჩეული მხედარი გარს შემოუკრებია და მარჯვე დროს ელის. გაზეთი „Morning Post“-ის აზრით, თუ იოილმა ქედი არ მოიხარა და არ შეურიგდა ინგლისელებს, აჯანყება საოცარის სისწრაფით მოედება ახლად დაპყრობილს ქვეყნებსაო. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბაზუტოლანდს გალაშქრება მეტად ძნელი საქმეა და ინგლისს იაფად არ დაუჯდება ეს საქმე, თუ მშვიდობიანობა მალე არ ჩამოვარდაო.

ნარკვევი

„კვალის“ მე-28 №-ში ერთი საუცხოვო წერილია მოთავსებული, რომელსაც რედაქცია, საუბედუროდ, ,,სავსებით არ ეთანხმება''. წერილს ჰქვიან „ძველი ცოდვა ახალ რედაქციაში“, ჩვენ შეგვეხება და სავსეა თვალმარგალიტით. მოგვყავს ამ საუნჯიდგან ერთი თვალი, რომელიც ჩვენდა საგულისხმოდ და ჩასაგონებლად არის მოძღვნილი:

> გაზეთი უნდა ფეხ-და-ფეხ მისდევდეს ცხოვრებას, უკვირდებოდეს და იკვლევდეს მის ნამდვილ მოთხოვნილებას, გამოთქვამდეს ერის გულის ნადებს, უადვილებდეს და ეხმარებოდეს მშობიარობის მწვავე ტკივილების ატანას. ვუსურვებთ განახლებულ „ივერიას“ შეეგნოს ეს ჭეშმარიტება, მაგრამ შესძლებს-კი?...

ივლიან, ივლიან და ბრმასავით ისევ კ. მარქსს წააწყდებიან, თუმცა მისის ფილოსოფიისა არა გაეგებათ-რა.

საუცხოვოდ არ გაადვილდა გაზეთის საქმე?!.. აღარც იდეალის მსახურება, აღარც ახალი აზრების გავრცელება, აღარც უცხო ხალხთა ცხოვრების შესწავლა,—ეგ სულ თურმე მეტი ბარგი ყოფილა, მისდიე, გაზეთო, ცხოვრებას ფეხ-და-ფეხ, შემცდარ გზითაც რომ მიდიოდეს. გამოიკვლიე და გამოსთქვი მისი გულის ნადები, ბოროტობის მეტიც რომ არა იყოს-რა. დაუამე მშობიარეს ტკივილი, ოქროს ქოჩრიან ვაჟის მაგიერ ლეკვსაც რომ შობავდეს.

ნეტა, „კვალის“ რედაქცია „სავსებით ეთანხმება“ ამ პროგრამას, თუ ცალის ყბით?...

სიცხე დაჭირებული „მოსაუბრე“ კიდევ განაგრძობს ბოდვას „კვ.“ № 28 შიაც. ამ ჟამად თავის ჩვეულებრივ დაცინვის საგნად აურჩევია ახლა ამორჩეული დირექტორი ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა, ან უკეთ რომ ვსთქვათ ბ-ნი თ. მ—ძე, რომელმაც რამდენიმე პწკარი უძღვნა ამ არჩეულის კაცის გაკვრით დახასიათებას. მ—ძეს დასძრავს იმიტომ, რომ რად მიიჩნია სასიამოვნოდ გ. ა—ძის არჩევაო და ამ უკანასკნელს-კი... რად იამათ შენი არჩევა, ვინა ხარ, ვიღაც „ჩინოვნიკიო“... თითქო „ჩინოვნიკობა“ თავის-თავად შესარცხვენი რამ იყოს და კარგს, ხალხის გულ შემატკივარს და განათლებულს „ჩინოვნიკს“ მოსაუბრისთანა მჯდაბნელებზე მეტი სარგებლობა არ მოჰქონდეს ერისათვის...

> „ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართო, ამბობს მოსაუბრე, რომ ბ-ნი აბულაძე თავის კანდიდატურის წამოყენების დროს უფრო იმ ორი ათასზე ფიქრობდა, რომელიც მისს პენსიას უნდა მომატებოდაო“.

და რაზე ამყარებს თავისს „ღრმა დარწმუნებას“, ამას-კი არ ამბობს, თითქო სხვის გულსა და სულში ასე ჯაშუშურად ხელის ფათური და თავის ანგაარი ოცობოდოსი სხვის გულის-ნადებად გამომზეურება უცოდველი რამ კომპლიმენტი იყოს და არა ისეთი საზარელი ბრალდება, რომლის თქმასაც დამტკიცება უნდა მოჰყვეს, თუ მთქმელს საზოგადოებრივს ეთიკაზე მორეული ცნობა მაინცა აქვს... მოსაუბრეს, თუ უნდოდა, არ შეეძლო არა სცოდნოდა, რომ ა) გ. ა—ძეს თითონ-კი არ მოჰსვლია აზრად თავის კანდიდატურის წამოყენება, არამედ რამდენმამე წარმომადგენელმა ქუთაისის ინტელიგენციისამ სთხოვა ეყარა კენჭი და დიდ-ხანსაც ეხვეწნენ, სანამ დაითანხმებდნენ; ბ) რომ ა—ძესათვის არავითარი ნივთიერი ანგარიში არ იყო მიეტოვებინა ოლქის სასამართლოს უფროსი წევრობა და ქუთაისის ბანკში დირექტორად შესულიყო, რადგანაც სასამართლოში მისი მდგომარეობა ბევრად უფრო უზრუნველი იყო, ვიდრე ბანკში იქმნება. ეს ყველასათვის ცხადია, ვისაც თვალნი ხედვად აქვსთ დ̃ ყურნი სმენად. ხოლო მოსაუბრე მურვან ყრუსა ჰგავს ამ ერთს შემთხვევაში—რაც არ იამება, არც გაიგონებს და არც დაინახავს. თორემ ჩვენს, ქართულს მცირე სამოქმედო ასპარეზზე, რით იწუნებს გ. ა—ძეს „საზოგადო მოღვაწის როლის საკისრებლად??“ იმ მოკლე ცნობებშიაც, რომელნიც თ. მ—ძემ ჩვენის გაზეთის № 117-ში მოიყვანა ა-ძის შესახებ და მოსაუბრემ-კი ასე უტიფრად მიჩქმალა, თითქოს არ წამიკითხავსო, ყველა მიუდგომელი მკითხველი იპოვნიდა საკმაო ცნობებს იმისას, რომ ქუთათურთა არჩევანი ამ შემთხვევაში არ არის შემცდარი. ნუ-თუ ის კაცი, ვინც იღებდა დაახლოვებულს მონაწილეობას ქუთაისის ქალაქისა და თავად-აზნაურობის საზოგადო საქმეებში, ვინც იყო სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრადო, ვინც დაახლოვებული იყო მაშინდელ ინტელიგენციის ორგანოს «შრომის» წრესთან და უწევდა ზნეობრივს დახმარებას, ვინც ამ მოღვაწეობის გამო გახდეს საგნად არა ერთისა და ორის დაბეზღებისა, რის გამოც კიდეც მოაშორეს იგი სამშობლო ქალაქს და დასასრულ ვინც ამდენი ხანი არის მხნე, სინდისიერი და მცოდნე მსაჯული—ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას ბანკის დირექტორის თანამდებობაზე?!

ქუთათურ ამომრჩეველთა და ჩვენის გაზეთის აზრი ამ საგანზე მკითხველებმა უკვე იციან, ხოლო რაც შეეხება მოსაუბრის უსაბუთო დასძლვას საზოგადოებისაგან არჩეულის კაცისას, ამას ნურვინ გაიკვირვებს: ძველადგანვე ასე ყოფილა, რომ

„За триумфальной колесницей
Бѣжитъ бездарный клеветникъ“...

წერილები

რედაქციის მიმართ

I

„ივერიის“ № 99-ში მოთავსებული იყო ჩვენი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, უარსა ვყოფდით ბ-ნ კ. სეხნიაშვილის ცნობებს თელავის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესახებ. ბ-ნ სეხნიაშვილს ამ დღეებში „ივერიის“ № 134-ში საპასუხო წერილი დაუწერია, ჩვენ წერილს შეჰხებია და იმ ადგილისათვის, სადაც პირადად მის ცნობებზედ ვლაპარაკობდით, ოსტატურად მხარი აუქცევია...

ბ-ნი სეხნიაშვილი წერილის თავშივე გვისაყვედურებს, რომ ვითომ ჩვენ გულწრფელად არ აღვნიშნეთ თელავის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაქვეითების მიზეზი. ისა ბრძანებს: მე ვიცი, რომ ბ-ნმა ე—ლაშვილმა (?) კარგად უწყის ბიბლიოთეკის არა სასურველი მდგომარეობა, იცის ისიც, რაშიაც არის დამნაშავე ბიბლიოთეკის გამგეობა და სხვა. მაგრამ ასეთი მაძიებლობა აზრებისა და სხვის გულში ხელის ფათური, არამც თუ საბუთიანობას, არამედ ზრდილობასაც მოკლებულია. ჩვენა გვჯერა რომ თელავის ბიბლიოთეკაში ბევრი რამ თავის რიგზედ არა კეთდებოდა, მაგრამ იმავე დროს დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ამის მიზეზი ჩვენ, ყველანი, ვიყავით და არა ორი ადამიანი, რომელიც განაგებდენ ბიბლიოთეკის საქმეს. ჩვენ რომ გამგეებს ვირჩევთ ხოლმე, ბევრს დახმარებას ვპირდებით და საქმით-კი არ ვასრულებთ. ჩვენ, სხვათა შორის, ამოვირჩიეთ ეგრეთ წოდებული სამზრუნველო კომიტეტი. ამ კომიტეტის მოვალეობა იყო ბიბლიოთეკისათვის ეზრუნა და სხვა-და-სხვა წყარო შემოსავლისა აღმოეჩინა. მაგრამ ხსენებული კომიტეტი დღესაც სდუმს და ერთი კაპეიკიც არ შეუმატნია ბიბლიოთეკისათვის. გამგეობა იძულებული იყო კომიტეტის მოვალეობაც თვითონ ეკისრნა. გამგეებმა იკისრეს კიდეც ეს საქმე, ეცადნენ, მაგრამ მაინც ვერ დააკმაყოფილეს ბიბლიოთეკის მოთხოვნილებანი. არსებული ფულით არ შეიძლებოდა არც ხეირიან ოთახის დაქირავება და არც ბიბლიოთეკრისა. ბიბლიოთეკრები, მცირე ჯამაგირის გამო, მუდამ უკმაყოფილონი იყვნენ. სახვეწური ჩვენვე გვქონდა იმათთან არ წასულიყვნენ და აბა აქ, რასაკვირველია, რომ ბევრჯელ ბიბლიოთეკა თავის დროზედ არ გაიღებოდა, წიგნები დაიკარგებოდა და სხვა.

ბ-ნი სეხნიაშვილი ბრძანებს, ვითომ ჩვენ გვეთქვას, რომ შარშან გამგეობის მიერ გამართულ წარმოდგენებიდგან 23 მან. შემოვიდაო. ჩვენ ამ საგანზედ წინა წერილში ხმაც არ ამოგვიღია, მაგრამ, რახან სიტყვამ მოიტანა, მოგახსენებთ, რომ ამას ის იტყვის, ვინც ჩვენი სამკითხველოს საქმეებისა არა იცის-რა და მხოლოდ სხვის ფეხის ხმას ასდევს. 23 მანეთი-კი არა, ერთი წელიწადიც არა ყოფილა ისეთი, რომ აწინდელ გამგეთ წარმოდგენებით და სხვა საშუალებით თვრამეტ თუმანზედ ნაკლები შეეძინოთ სამკითხველოსათვის. ეს არავისთვის დაფარული არ არის და ვინც ჩვენ ბიბლიოთეკის ბედ-იღბალში მხურვალე მონაწილეობას იღებს, ყველამ იცის. ვინც კიდევ არ იცის, ანუ არ სჯერა, მობრძანდეს სამკითხველოში, როცა ნებავდეს და ამის საბუთები იხილოს. რაც შეეხება იმას, რომ 23 მანეთის შესახებ „კომისია სხვას ამბობსო“ და ვითომ ბიბლიოთეკარს 6 მანეთს ჰპირდებოდნენ და ხუთს აძლევდნენო, ჩვენ ამაზე არას ვიტყვით. ეს გამგეების ზნეობრივ მხარეს შეეხება და იმედი გვაქვს თვითონვე ამოიღებენ ხმას.

ამასთან ერთად შეიძლება იკითხოს ვინმემ, თუ სამკითხველოს ამდენი შემოსავალი ჰქონდა, რაღათა გრძნობდა უფულობასაო. ამის მიზეზი, მოკლედ რომ მოგახსენოთ, გახლავთ ის, რომ ბიბლიოთეკის შემოსავლიდგან ერთი მხრივ რომ აწინდელი საჭიროება კმაყოფილდება, მეორე მხრივ, თანახმად საზოგადო სურვილისა, იზრდება ის თანხა, რომლითაც უნდა აშენდეს საკუთრად სახალხო ბიბლიოთეკა და თეატრი, რომლის არსებობა ერთი-ორად საჭიროა, ვიდრე აწინდელ სამკითხველოსი.

დასასრულ, რადგანაც ბ-ნი სეხნიაშვილი სიმართლის მოყვარული ყოფილა, ვსთხოვთ უმორჩილესად პასუხი მოგვცეს შემდეგ კითხვებზედ: 1) საიდან და როგორ ამოიღო ის ცნობა, რომ თელავის სამკითხველოში 260 წიგნი არის დაკარგულიო და „ივერიის“ 29 №-ით ამცნო საზოგადოებას; 2) არის თუ არა ჩვენს სამკითხველოში ისეთი დავთარი, რომლიდგანაც სჩანდეს, რომ შარშან სამკითხველოს 120 ხელის-მომწერი ჰყავდეს, და თუ არ არის, რად არწმუნებდა საზოგადოებას და რედაქციას, რომ ეს ცნობა ბიბლიოთეკისავე დავთრებიდან ამოვიღეო (იხ. „ივერია“ №№ 29 და 82); 3) ის აზრი, რომ თელავის ბიბლიოთეკა წინად უფრო უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ეხლა, მათი და ზოგიერთ პირების აზრია, თუ მთელის საზოგადოებისა?

ვლ. ე—შვილი.

II

ბატონო რედაქტორო!

„ცნობის ფურცლის“ კვირის ნომერში (7 ივლისი) წავიკითხე მცირე შენიშვნა ბ-ნ ჯორბენაძეს შესახებ. 24 ივნისს მოხდა საჯარო ვაჭრობა ბ-ნ ჯორბენაძის მამულისა. სხვათა შორის, მეც ჩავეწერე და მინდოდა საჯარო ვაჭრობით შემესყიდა ეს მამული; ჩემს გარდა, ივაჭრეს ბ-ნმა მეჟავიძემ და გოგნიაშვილმა; მათ დამარწმუნეს, ნუ შეგვეცილები და ამ მამულის პატრონს ტყუილად ხარჯში ნუ შეიყვანო, ჩვენ დავინარჩუნებთ და მამულს უკანვე პატრონს დავუბრუნებთო, რადგან ის ძალიან ღარიბი კაცი არისო. ამან ჩემში სიბრალუ-

ჯეთ, ებრაელობა უფრთხის კიდეც ქართულ მწერლობას, მის ღაღადსა და ქადაგებას. აგერ თითქმის ნახევარ საუკუნე თავდება, რაც ჩვენში ახალი ლიტერატურული მოძრაობა დაიწყო და ამ დროის განმავლობაში არც ერთს ებრაელს სრულიად ხელიც არ გაუნძრევია ქართულ ლიტერატურის სასარგებლოდ. ერთს ქართველ ებრაელ ლიტერატორსაც ვერ შეხვდებით, ებრაელთა შორის უბრალო კორესპონდენტსაც-კი ვერ დაასახელებთ. სხვაგან, აი თუნდ მართლ-მადიდებელ რუსეთში, ეგრე როდია. იქ ხშირია ებრაელი მეცნიერი, პოეტი, პუბლიცისტი. რუსეთის ებრაელობა ისეთს გონებრივს სიფხიზლეს იჩენს, რომ ბევრნი «მამულისშვილნი“ დრტვინვენ კიდეც—„ჟიდი“ ლიტერატურაშიაც გაბატონდა და ვაი ჩვენი ბრალიო... მხოლოდ ჩვენებურს ებრაელობას გასწყრომია საბაოთ მამა: ლიტერატორსა და საზოგადოებრივ მოღვაწეს ვინ-და იტყვის,—ერთი ქართველი ებრაელი სტუდენტიც-კი არ მოიპოვება დედა-მიწის ზურგზედ! თუ ჩვენი ძველი მატიანე ერთის სიტყვითაც არ იხსენიებდა ებრაელს, არც ახალი შეამკობს მას ხოტბითა და დიდებით! სწორე მოგახსენოთ, სათაკილო და სამარცხვინო კია ასეთი ბედი და მდგომარეობა ჩვენებურის ებრაელობისა. როდის ექმნება დასასრული ამ ბედსა და მდგომარეობას?—

როგორცა სჩანს, ებრაელობა ამ ბოლოს დროს ცოტად გამოფხიზლებულა და „კეთილ მოქმედებას“ შესდგომია. ამას ცხადად ამტკიცებს ფრიად საყურადღებო წერილი,—„ებრაელების კეთილი მოქმედება“-ს სახელით დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში („ივერია“, № 51). ამ წერილის ავტორი, ბ-ნი სკოლის მეგობარი, მოგვითხრობს, რომ კულაშის, ვანისა და სუჯუნის ებრაელებს უკვე შეუგნიათ სამინისტრო სკოლის, ე. ი. ევროპიულ ჯურის სკოლის სარგებლობა და მათი ორისავე სქესის მოზარდი თაობა უკვე იწვრთნება და სწავლობს ასეთს სკოლაში. ქ. ქუთაისში ევროპიულ სწავლის მღაღადებლად ბეითალი ლანგი აღმოჩენილა. დიდი ღვაწლი თურმე დასდო ბ-ნმა ლანგმა სკოლის საქმეს. კრება მოუხდენია თავისს სახლში და ებრაელობასაც უხვად გაუღია ფული სკოლის დასაფუძნებლად. ორასის ყმაწვილისთვის აპირებენ სკოლა დააარსონო. ბ-ნის სკოლის მეგობრის სიტყვით, პროფესიონალური სწავლაც უნდა იყვესო მომავალ სკოლაში.

ყველა შეგნებული ქართველი სულითა და გულით გაიხარებდა, როცა სკოლის მეგობრის წერილს წაიკითხავდა. ჩვენც დიდად გვასიამოვნა ამ წერილმა. ღირდა კიდეც სიამოვნებად. აქამომდე ჩვენებური ებრაელობა ინერტიულ ძალას წარმოადგენდა და ცხოვრებაში მეტ ბარგად ითვლებოდა. ებრაელის ჩარჩობა და მევახშეობა მარტო ქართველობისთვის როდი იყო მავნებელი, არა,—ეს ხელობა თვით ებრაელობას ზნეობრივად ამცირებდა, აწვრილმანებდა. ერის საზოგადო ეკონომიაში ებრაელის ნიჭი და გონებრივი ძალა უქმად რჩებოდა, უნაყოფოდ იკარგებოდა. ახლა-კი ყველა ამას მალე ბოლო უნდა მოეღოს და ევროპიულ სწავლითა და მეცნიერებით აღჭურვილი მომავალი ისრაელი ჩვენს საზოგადო ასპარეზზედ უნდა გამოვიდეს!

ზოგი ქართველი იქმნება მწუხარებას და დარდს მიეცეს და იფიქროს,—საკეთილოს არაფერს გვიქადის თქვენი მომავალი ისრაილიო... ფუჭი და ამაო შიშია. თუ უმეტესად არა, ბევრგზით მაინც თითონ ევროპაა დამნაშავე, რომ ებრაელობა იქ ზოგჯერ ქრისტიანულ ზნეობის ბრძანებისამებრ არ მოქმედებს. ებრაელის ზნეობა ძველის აღთქმისაა—„კბილი კბილისა წილ დ̃ თვალი თვალისა წილ“. ხოლო ქართველობისა და ებრაელობის ურთიერთობა ძველადგანვე უფრო ლმობიერებისა და სათნოების ნიადაგზედ დამყარდა და ევროპიული განათლება ამ ნიადაგს, უეჭველია, უფრო გაამაგრებს, განამტკიცებს.

სწორედ ევროპიული განათლება ესაჭიროებოდა ჩვენებურს ებრაელობას და რაკი ამ განათლების ალღო აიღო, იმის საქმეც გაიჩარხა. მეტადრე საყურადღებოა, რომ ქუთაისის ებრაულთა სკოლაში პროფესიონალური სწავლაც იქმნება. სამრეწველო დ̃ საკომერციო სწავლა ხელს შეუწყობს ჩვენებურის ისრაილის თავისებურს ნიჭსა და ჩვენს ქვეყანასაც სარგებლობას მოუტანს. მხოლოდ საჭიროა, რომ ებრაელთა სკოლა კასტიურს, მარტოოდენ ებრაულს გზას არ დაადგეს და ქართველ ახალგაზრდობასაც კარი გაუღოს, თუ-კი სკოლის პროგრამით ეს მოხერხდება. კარ-ჩაკეტილობამ დაჰღუპა და დაანელა ჩვენებური ებრაელობა და ისრაილმა ახლა მაინც უნდა შეიგნოს თავისი შეცდომა და დანაშაულობა. ჩვენებური ებრაელი აქამომდე ქრისტიანულს სკოლას ერიდებოდა და განზე უდგებოდა, თითქო იგი სკოლა ებრაელობას დააქცევდა და სრულიადაც შემუსრავდა. ევროპისა და რუსეთის მაგალითი ამტკიცებს, თუ რა მწარედ სტყუვდებოდა ქართველი ებრაელი. დიაღ, ერთობა და კავშირი ჰბადავს ძალას და არა განცალკევება და განმარტოვება. ჩვენებურმა ებრაელობამ, თუ საკუთარი სიკეთე სურს, ეს ჭეშმარიტება არასოდეს არ უნდა დაივიწყოს...

Plebs.

---

*) პროსკრიპცია—საჯაროდ გამოცხადებაა იმ პირთა, რომელნიც კანონის მიერ არ არიან ცნობილნი.

ლი გამოიწვია და მეც დავუთმე, აღარ ვიაჭრე. საჯარო ვაჭრობით გოგნიაშვილმა დაინარჩუნა და ახლა იმედი მაქვს, რომ ზემოხსენებულ პირს თავის პატიოსანი სიტყვა მოაგონდება და მამულს პატრონსვე დაუბრუნებს.

შაქრო საფაროვი.

„ივერიის“ ფოსტა:

ვ. ბალანჩივაძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

ე. ჩხაიძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

ი. ცქიტიშვილს. თქვენი წერილი დიდი ჯიხაიშის სამკითხველოს შესახებ არ იბეჭდება.

მოსკოვი. ნ. ასლამ—შვილს. თქვენი ამბები არ იბეჭდება. მეტად უმნიშვნელოა ჩვენის მკითხველებისათვის.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 ივლისს.

პეტერბურგი. 5 ივლისს გერმანიის ელჩმა სადილი გაუმართა „შარლოტას„ გემზე მყოფთ. სადილს დაესწრნენ ჰერცოგი პავლე-ფრიდრიხ მეკლენბურგ-შვერინი.—6 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი დილის 11 საათზედ მოვიდნენ პეტერბურგს, სადაც უმაღლეს გვამთა თანადასწრებით ახალ საადმირალოში გემის „ოლეგ“-ის შენების დაწყებას დაესწრნენ; ხოლო 11 საათსა და 45 წუთს—გემის „ორიოლის“ ზღვაში ჩაშვებას. იქვე იყვნენ ჰერცოგი მეკლენბურგ-შვერინი, საფრანგეთისა და გერმანიის ელჩები, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი აბუნა მათეოსი და სხვანი. გემის ჩაშვების შემდეგ სამეფო გვარეულობის წევრნი წავიდნენ დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის სასახლეში, სადაც საუზმე იქმნა გამართული. მესამე საათზე პეტერგოფს წავიდნენ გემით „ალექსანდრია“-თი.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლორდი ლანსდოუნი იტალიასთან დამოკიდებულებას შეეხო და სთქვა, რომ ეს დამოკიდებულება მეგობრულია და იგი არ შეცვლილა იტალიისა და საფრანგეთის დაახლოვებითაო.

კიევი. სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება შეუდგა სტუდენტთა სასადილოს შენობის აგებას. ადგილი საზოგადოებამ 33,000 მანეთად შეიძინა. სასადილო გაიხსნება ზამთრის დამდეგს.

კავკავი. მოწყვეტილი ყინული ყაზბეგის ჩრდილოეთ-დასავლეთ ფერდობზეა, იქ, სადაც მდინარე გენალდონი იწყება, კავკავიდგან 30 ვერსის მანძილზე. ეშინიათ, ხომ არა შეემთხვათ-რა იმ ავადმყოფთ, რომელნიც დაბლა, ყინულს ქვემოდ, სამკურნალო წყლებში ბანაობდნენო. ყინულის დასათვალიერებლად წავიდნენ კავკავის ოლქის უფროსი, მკურნალი და სამთო ინჟინერი.

პეკინი. გუშინ ჩინეთმა მიიღო ტიანძინის ჩაბარების პირობანი. დროებით დაწესებულ ადმინისტრაციას გააუქმებენ ერთის თვის შემდეგ.

ნიურენბერგი. იტალიის მეფე მოვიდა აქ 9 საათსა და 22 წუთზედ და მაშინვე გაუდგა გზას.

ბრიუსელი. სრულიად სომეხთა კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც უარ-ყოფილია ოსმალეთის ხელ-უხლებლობის წინააღმდეგ მოქმედებანი. კონგრესმა ამასთან მიანდო სამუდამო კომისიას შეუდგეს პროპაგანდას.

ლონდონი. მეფემ ღამე კარგად და მშვიდობიანად გაატარა. უკეთესობა ეტყობა ყოველ მხრივ.

პლოცკი. პლოცკში, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, დაიწყო მოქმედება საგუბერნიო კომიტეტმა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად.

რიაზანი. მიწათ-მოქმედების სამინისტროს მამულში, საპოჟკოვის მაზრაში, დაარსდა დროებითი კურსები საეპარქიო ორ-კლასიან სკოლათა მასწავლებლებისათვის. შეიკრიბა 24 კაცი.

ვენა. „პოლიტ. კორრესპ.“-ში დაბეჭდილია საუბარი იაპონიის მინისტრ პრეზიდენტად ნამყოფ მატსუკატთან, რომელსაც უთქვამს, რომ იაპონია უმთავრეს ყურადღებას შინაურ საქმეებს აქცევს და არ ემზადება არავითარ საგარეო აქტიურ პოლიტიკისათვისაო. ინგლისთან კავშირი მშვიდობიანობის საქმეს ემსახურება. რუსეთთან იაპონია არავითარ შეტაკებას არ არის მოსურნეო.

პეტერბურგი. კიშინიოვურ გაზეთის „ბესარაბეცის“ რედაქტორ-გამომცემელს კრუშევანს ნება დაერთო გამოსცეს პეტერბურგში თავისის რედაქტორობით დიდი სალიტერატურო-საპოლიტიკო ყოველ-დღიური გაზეთი „Знамя“. „ბესარაბეცის“ რედაქტორად სხვა კაცი იქმნება.

7 ივლისი.

უფა. საგუბერნიო კომიტეტის სხდომა მოხდა, რათა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობათა საჭიროებანი გამოიკვლიონ.

ათინა. მეფე ეკსში წავიდა, ხოლო დედოფალი—ვენეციასა, ვენასა და პეტერბურგს.

პარიჟი. იტალიის მეფის მოგზაურობის შესახებ გაზეთი „ტან“-ი ამბობს, რომ ეს მოგზაურობა გააძლიერებს სახელს იტალიისას, რომელიც სხვის მზრუნველობის ქვეშ მყოფს მიაგავს, და გერმანიისაგან სრულს დამოუკიდებლობას მოუპოვებსო. ბალკანეთის საქმეთა შესახებ საურთიერთაშორისო თანხმობა გამოაცხადეს. იტალია მონაწილეობას იღებს პოლიტიკაში, რომელსაც აზრად ისა აქვს, რომ სახელმწიფონი დაუახლოვოს ერთმანეთს და ამით დიდთა მოკავშირეთაგან მათდამი მოცილეობა და საშიშარი მხარეები შეასუსტოს. საფრანგეთი ხელს უწყობს ამ პოლიტიკას და ამ მიმართულებით, როგორც თავისთვის, ისე ევროპისათვისაც მოქმედებს.

ლონდონი. კონსერვატორთა კლუბის „ფულკამ“-ის გახსნის დროს ბალფურმა სთქვა, რომ ომის დროს ინგლისი გაკვირვებული იყო და ამასთანავე განრისხებულიც ინგლისის ხალხისა და ლაშქრის შესახებ კონტინენტზე გამოთქმულ აზრით, მაგრამ იმედია ამას სამუდამოდ ბოლო მოეღო. ტრანსვაალის მოძავალი აჩვენებს, რა ნაყოფის მოტანა შეუძლიან ინგლისის სურვილებს თავისუფლებისა, კოლონიების თვით-მმართველობისა და რასების შემაერთებელ კარგ ადმინისტრაციის შემოღებისა. იმედია, გაძლიერდეს კეთილ-განწყობილება ინგლისსა და კონტინენტის ერთა შორის. ბალფურმა აქო ჩემბერლენის საკოლონიო პოლიტიკა და სთქვა, რომ სოლსბერის პოლიტიკა გაგრძელდებაო.

პეტერბურგი. 8 არტილერიის ბრიგადის უფროსს გენერალ-მაიორს ლისუნკოვს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა და ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან პენსიით და მუნდირით.

1-ლი შინაგან მომგებიან სესხის ბილეთების ტირაჟი *)

პირველ ივლისს მომხდარ ტირაჟით გაბათილებულ იქმნენ შემდეგი ბილეთები 1-ლის მომგებიანის სესხისა:

00027	02959	06603	09599	13693	17584
00059	03035	06658	09741	13845	17617
00281	03128	06662	09748	13939	17627
00345	03160	06908	10118	13997	17721
00376	03178	06960	10136	14062	17723
00423	03249	07075	10146	14082	17774
00459	03273	07296	10190	14184	17797
00474	03383	07367	10261	14272	17849
00527	03537	07477	10290	14446	17867
00541	03594	07508	10479	14557	17868
00589	03732	07562	10592	14811	17882
00590	03737	07605	10596	15002	18003
00682	03752	07725	10613	15043	18008
00812	03931	07757	10692	15226	18021
00865	04056	07783	10986	15228	18107
00885	04069	08185	11044	15307	18215
00887	04121	08194	11375	15337	18272
01275	04471	08394	11518	15512	18518
01330	04473	08403	11628	15554	18527
01571	04474	08440	11670	15611	18552
01593	04499	08495	11699	15669	18777
01685	04523	08511	11831	15867	18847
01713	04864	08633	12028	15869	18886
01716	05012	08675	12065	15892	18987
01804	05045	08688	12095	15989	19206
01805	05111	08789	12112	16002	19239
01829	05123	08826	12255	16028	19249
01958	05129	08831	12335	16257	19345
01962	05162	08983	12427	16359	19393
02287	05305	08987	12594	16502	19439
02299	05364	09061	12609	16559	19461
02324	05378	09090	12735	16687	19536
02349	05386	09120	12827	16697	19543
02455	05447	09142	12883	16948	19577
02473	05575	09276	12956	16998	19596
02508	05683	09352	13167	17163	19756
02595	05816	09478	13178	17250	19768
02628	06498	09479	13347	17296	19944
02650	06524	09486	13584	17331	19994
02766	06559	09570	12590	17344	
02776	06567	09586	13636	17412	

8 ივლისი

კრონშტადტი. მკათათვის 7 ნაშუადღევის 3 საათზე პეტერბურგიდგან მოვიდა იტალიის კრეისერი „კარლო ალბერტო“. კრეისერზედ იყვნენ იტალიის ელჩი, მთავარ-უფროსი ვიცე-ადმირალი მაკაროვი, უფროსნი აქ მყოფ გემებისა და მრავალი მანდილოსანნი. უხვის მასპინძლობის შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში, რომელმაც საღამოს 6 საათამდე გასტანა. ნადიმზედ წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, იტალიის მეფისა, რუსეთისა და იტალიის ფლოტისა და ჯარისა. ნადიმის შემდეგ. წამსვლელთ იტალიის ელჩს და მთავარ უფროს ჩვეულებრივი შედლუხი გაუმართეს.

ბელასტოკი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება [illegible] დასთანხმდა, რათა ბელასტოკში დასაარსებელი საზოგადოება რათა მოწყალებისათა მიღებულ იქმნას დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშე.

ვარშავა. ვარშავაში ჰფიქრობენ დააარსონ გირავნობის ბანკი, რომელმაც უნდა გასცეს სესხი მოძრავ და უძრავ ქონების დაგირავებით. ბანკს ექმნება თანხად 600,000 მან. პროექტი მოწონებულ იქმნა აქაურ მთავრობისაგან და გაგზავნილ ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

პორტ-არტური. საკმაოდ რიცხვ-მრავალი ბრბო ხუნ-გუზთა ტუჩაუნს ახლო მანჯურიარიაში დაეცა პორტ-არტურელ ვაჭართა ქარავანს და გაცარცვეს. სამი გზის მაჩვენებელი მოჰკლეს და დასწვეს.

სამარა. ჩაჰყარეს საძირკველი სახალხო სახლის შენობისა ხალხის სიფხიზლის სამზრუნველოს ხარჯით. ხარჯთ-აღრიცხვით შენობისათვის გადადებულია 60,000 მან.

ვენა. დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული მობრძანდა ვარშავიდან და გაემართა მაშტეინს.

პარიჟი. იმ სადილზე, რომელიც რას-მაკონენის პატივსაცემად გამართეს, დეპუტატმა ეტიენმა სიტყვა წარმოსთქვა. შეაქო რა იგი, როგორც უშიშარი მეომარი, ეტიენმა სთქვა რომ თქვენ ყოველთვის საფრანგეთის მეგობარი იყავითო. ამასთან დაუმატა, რომ ახალ რკინის გზას ხარრარში ერთად-ერთი აზრი აქვს—ხელი შეუწყოს ათიოპიის სიმდიდრის გადიადებასაო. მაკონენმა მადლობა გადაუხადა დი დაუმატა, რომ ათიოპია სამაგიეროს უხდის საფრანგეთს; ამის შემდეგ მეგობრობა ორ სახელმწიფოს შორის უფრო განმტკიცდებაო.

რომი. მეფე დილის 7 საათზედ რაკკონიჯში მოვიდა, სადაც ხალხი აღტაცებით დაუხვდა.

ბერლინი. პრუსიაში მოსავალს ამ ეროსის თვის განმავლობაში ბევრი არაფერი ცვლილება დასტყობია. ცივმა და წვიმიანმა ამინდმა მკა ყველგან შეაფერხა.

კონსტანტინეპოლი. პორტამ აცნობა ჩერნოგორიის ელჩს, რომ 2000 ჩერნოგორელი გადმოვიდა საზღვარს, შემოერტყა ოსმალეთის ჯარს და წყლისაკინ გზა შეუკრაო. პორტა თხოულობს ჩერნოგორელთა უკან გაწვევას და უთვლიან, ვეცდებით შეტაკება აღარ მოხდესო. სულთანმა დიდი მწუხარება განაცხადა საზღვარზე მომხდარ ამბებისა გამო, იგი კეთილის მოსურნეა მთავარ ნიკოლოოზის მიმართ. აცნობა ამასთან, რომ მოსაზღვრე კომისარი ხამდი-ფაშა ადგილიდან გადავაყენეთო.

კიევი ნაშუადღევის $1^1/_4$ საათზედ საშინელი გრიგალი ასტყდა; ცა მოიცვა შავმა ღრუბლებმა; ქარიშხალს მოჰყვა თავსხმა და თხილის ოდენი სეტყვა. მრავალი სარდაფი წყლით აივსო. ჯერჯერობით შემოწმებულია დაღუპვა 15 კაცისა სარდაფებში; მთავარ ქუჩის—კრეშჩატიკის ერთ ნაწილში წყალი ტროტუარს ზევით ერთ ადლზედ იდგა; ტროიცკის მოედანი ნამდვილ ტბად იყო გადაქცეული; ქვაფენილს ზევით წყალი ერთის ალაბის სიმაღლეზედ იდგა. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის ერთი ნაწილი გაფუჭებულია. შესწყდა მატარებლების მიმოსვლა კიევ-ვორონეჟისა და კიევ-პოლტავის რკინის გზებზედ. სეტყვამ ბევრგან ჩაამტვრია სახლებში ფანჯრები. ქარმა ძირიანად ამოაგდო და დაამტვრია დიდრონი ხეები. საღამოს 8 საათზედ კიდევ განმეორდა კოკის პირული წვიმა და ქუჩებზედ საშინელი ღვარი მოვარდა. მოსკოვსა და პოლტავას მიმავალი მგზავრები სხდებიან მატარებელში სადგურ კიევ 2-ში, რადგა გაფუჭებულია. ცეცხლის ჩამქრობი რაზმი სარდაფებიდგან წყლის ამოქაჩვას შეუდგა.

---

*) თითოეულს სერიაში 50 ბილეთია 1-ლ №-დან 51-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 5 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,, ...	$46,27^1/_2$
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^1/_8$ წვ. გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$475^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$358^1/_4$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	292 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^7/_8$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ...	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4365 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	$172^1/_2$ წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. სად.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. სად.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. სად.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. სად.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ.დილ.	6 ს. 22 წ.დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. სად.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობის

„შხეფას“

გამგეობა იწვევს ბ-ნთ პაის პატრონთ არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია ოთხშაბათს, 17 ამა ივლისს—საღამოს 8 საათზე—ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, მმართველობის მიერ წარმოდგენილ მეორე ნახევარ წლის მოქმედების გეგმის განსახილველად და დასამტკიცებლად.

(2—376—1)

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37$_{50}$ ც. ფასი მცირეა. კონკ[illegible] ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (6.—(წლ.

წერა-კითხვის საზოგაბედოის წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახ დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეგ. გაბაშვილმა .	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ . . .	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა . . .	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილის. .	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოლისა. .	„ 10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . .	,, 30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 5
აბო ტფილელი, ე. კ. . . .	,, 30
Або Тифлисскій, Е. К. .	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ .	,, 60
გიორგი და მიხეილი . . .	,, 10
რ. აბაშიძისა . . .	,, 60
დ. გაბრუაშვილისა . . .	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. [illegible] . . .	1 ,,
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	,, 40
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ . . .	,, 20
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ხანგი, ვ. აბაშიძისა . . .	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
კოპერნიკიდან დარვინამდე . .	,, 10
კანდელი, მ. ღლაშვილისა . .	,, 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
უძველესთა ლოცვებანი, მ. ჯანაშვილისა	,, 15
მეცნიერებისთვის წამებულნი . .	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	,, 40
ბენია.	,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკისა. . . .	,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ.	,, 30
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ.	,, 20
აღმზრდელი, აკაკისა . . .	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა .	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 5
პატარა ლორდის თავგადასავალი .	,, 30
პატრა ვეფხვის ტყაოსანი. . .	,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	,, 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა . .	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. .	,, 60
აგრო დღესასწაული . . .	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის გოშკი, ივ. ბ—ძისა. .	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი . .	1 მ.
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძისა	,, 40
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა	,, 10
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . .	,, 5
დედა, ანდერსენისა . . .	,, 8
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	, 30
კუბიკები ქართული ანბანის .	1 მ. 20
ლექსები განდეგილისა . . .	,, 50
ვედოშვილისა	,, 50
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი . .	,, 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა .	,, 15
დენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій Е.ропов съ, К. .	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა .	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	,, 3
ამბავი მადლის ქვისა . .	,, 5
აკიდო საუმაწვილოდ, მოთხრ. ი. გოგებაშ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . . 1 მ.	,, 50
თამარ-დედოფლის სამკაული .	,, 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა .	,, 50
ისტორია ქართულ სტამბებისა .	,, 15
იანიხარიდ., ნახუცრიშვილისა.	,, 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნრ. ქუთათელაძისა .	,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ—სა .	,, 30

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.